# კავკასია

რამეთუ სომეხთა, ქართველთა
რანთა
ჰერთა
კავკასიანთა
ერთი იყო
მამა
თარგამოს სახელით ___

[illegible]

1990 იანვარი №3

სამეცნიერო, მხატვრული, პოლიტიკური გაზეთი

---

კავკასიური წარმოშობისა და მათი ათასწლობით გვერდით მაცხოვრებელი ხალხი, ერთი საყოფიერო და კოსმოგონიური მეალსაწიერის მატარებელი ხალხია. მათი ყველა მიქმენი და ღირებული ტრადიციები, ერთიანი ფილოსოფიური და თეოლოგიური კონცეფციის მქონეა. გაზეთი "კავკასია" შეეცდება თანმიმდევრულად იკვლიოს მეცნიერულად, ისე მხატვრული ფორმით წარმოაჩინოს და ხელი შეუწყოს დააჩქაროს კავკასიელ ხალხთა კონსოლიდაციის აუცილებლობასა და მათი ტრადიციების ღირსეულ მემკვიდრეობაში.

---

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ,
/მერაბ კოსტავას/

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ?!
ტანჯულ ქვეყანას რომ მოუვლინე.
ცის სიღრმიდან რომ გადმოგვიყვანე,
ბრძოლის ველიდან არ გაიყვანე,
ჰქონდა სათქმელი არ დაანებე.

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ!
პირცეცხლთან ომის გეზი მიეცი.
ღვარცოფთან ომის ჯვარი დასწერე.
კაცი თეთრონით ცხარე ომში რომ
დააყენე,
ბრძოლით ბრძოლაში გადაიყვანე,
გარედან სახლში არ შეიყვანე.

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ?!
მტერმა წაგვართვა კვლავ გვაკოვნინე
ძმად ჩაგვაბარე ვერ შევინახეთ,
მეხად გაფეტილს ვერ შევიდავეთ,
რა და, ბრძოლაშიც ვერ დავედარეთ.
მის ცხოვრებითაც არ გაგვაბარე!

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ,!
თეთრო გიორგი ომი გვირჩიე!
სამშობლოს ხსნის გზას თვალი/
დაავლე.
ქვეყნის მტრის კვალზე მალე
შეგვაგდე,
მეგობრის ხსოვნა წინ წაგვიმძღვარე!

თეთრო გიორგი შვილი რა უყავ?!
ცის ტიალიდან ლურჯა რაშით რომ
მოგვმყავანე!

ნ.ე.

— xx —

გადმოგვცეს
სასიკვდილოდ დამტვრეული, სიკვდილ
ამდე რამოდენიმე წუთით ადრე, ირგვ-
ლივ მყოფთ ამხნევებდა, ეხმარებოდა-
ზამდე? ჩამოჯდა, წამოწვა, ერთი წამო-
იწია და სკვდილს შეება.

— . . . —

შესანიშნავად გაიაზრა პატარა
ლექსში, გადასახლებული მამის
გედი, ირაკლი კოსტავამ.

"ვავრობიანი
შეისვენებს
მგზავრობის შუა;
წამომძინებს,
ამის დრო თუა.
გზას გაუღებგა
ლეგა ცხენზე ამხედრებული.
არ შეაჩინებს,
დაბრკოლება გზად ხვედრებული"

მარადიული დიდება საქართველოსა და
სრულიად კავკასიის მითიურამდე ასულ
გმირს - მ ე რ ა ბ  კ ო ს ტ ა ვ ა ს!

---

## აფხაზური კოზირის მოკლე ისტორია
/დიალოგი/

გიორგი: მხოლოდ თურქული მოდგმა ავიწროებს ქართულ-კავკასიური ყოფის პრინციპებს? მხედველობაში მაქვს პან-თურქიზმი.

ქაიხოსრო: ტრანაკლებ ებრძვიან ანტი დემოკრატიული ძალებიც, რუსული შოვინიზმიც.

გიორგი: მასალებიც მოვიმარჯვოთ.

ქაიხოსრო: აფხაზური მოვლენები მეოცე საუკუნის დაუჯერებელი ფაქტების კონტამინაციაა. იგი შექმნილია ქართულ- სახელმწიფოებრივი კულტურის და განწყობის დასაპირისპირებლად. ამავე-დროს, მოინდომეს საქართველოსათვის გამოეგლიჯათ ეს კუთხე, ამიტომ რუსული სკოლები შემოიღეს.

გიორგი: ცნობილი მეთოდია, დაპყრობილ ქვეყანას ჯერ თავი მოაჭრა, შემდეგ მიგნით აურიო ლენიგრაფიული სურათი. აფხაზი ხომ ქართველია და ძირითადი ენაც ქართული აქვთ. მისი კულტურა არასოდეს განსხვავდებოდა დანარჩენ საქართველოს კულტურისაგან, ასე არ არის?

ქაიხოსრო: დიახ, აფხაზის ქართულ ენოვნობას შეუტიეს, მოუძებნეს აფსუური ენა და მას დაუმკვიდრეს აზროვნება. ავტონომიური რესპუბლიკის ენაზე კი საშუალო და უმაღლესი სწავლება არ მიმდინარეობს.

გიორგი: გასაგებია, ამიტომ ამოუტივტივეს ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს აფსუური ენა, რომ მთელი კუთხე გაერუსებინათ.

ქაიხოსრო: 1921 წელს რუსეთ-თურქეთმა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობის შემდეგ, საქართველოსი და მისი მოქალაქის სუვერენიტეტი ნულამდე დაიყვანეს, მოუშალეს დიპლომატიური არხები სხვა ქვეყნებთან, ხოლო მომ ვალი კულტურის ორიენტირად თურქულ- რუსული კულტურა მისცეს.

გიორგი: გასაგებია: ამ მიზნით აკინძეს აჭარის ასსრ-ც.

ქაიხოსრო: ბუფერული უბნები რუსეთისგან მიტაცებულ მიწებსა და საქართველოს შორის, ასევე, თურქეთისაგან მითვისებულ მიწებსა და საქართველოს შორის.

გიორგი: აჭარას როგორ-ღა შერჩა ქართული ენა?

ქაიხოსრო: აჭარის ინტელიგენცია უფრო მოქნილი აღმოჩნდა, ტოტულად ულებდა ალლოს იმპერიალისტთა ჩანაფიქრს, თურქეთ-რუსეთის დაპირისპირებაც აქ აშკარად ჩანდა. აფხაზეთში დაჯაბნეს თურქეთი

ენის საკითხებში.

გიორგი: საცოდავია აფხაზი ინტელიგენცია!

ქაიხოსრო: მე კიტყოდი, სასაცილოა, აფსუობა უარყვეს და აფხაზობას წაეჭიდნენ. იცოდნენ აფსუური რესპუბლიკა თავშივე გაუგებარი, ნაკლებ მთქმელი და უნიათო იქნებოდა.

გიორგი: თავად აფსუები რაღას ფიქრობენ? ამბობენ რვა პროცენტი ძლივს იქნებაო.

ქაიხოსრო: ცხოვრობენ თავისთვის, აქ ახალმოდის ინტელიგენციაზე ეცინებათ. ვერც უბნებიან: "შენ რა აფსუა ხარო!" ჩვენთან კი ჩივიან - "მოგვაცილეთ თქვენი ეროვნება დაკარგული ქართველებიო!" ჩვენები პასუხობენ: "რუსულ-თურქულ კულტურას აყოლილი ქართველი, რა ქართველიაო.

გიორგი: არ მესმის, რატომ რუსობდნენ ქართველი ბოლშევიკები?!

ქაიხოსრო: ქართული ბოლშევიზმი ქართულ ტრადიციულ ეთიკის ძირებზე არ აზრდილა ლენინურ ბოლშევიზმში კი რუსული შოვინიზმი ყოველთვის სათანადო დონეზე იდგა.

გიორგი: დავუბრუნდეთ აფხაზეთს. შექმნეს რუსულენოვანი სასწავლებლები, რუსული პროგრამით, რაც ყოველგვარ ქართულ- კავკასიურ კულტურასა და ფსიქო-ეთიკას მიღმა მოსწყვავდა, ასეც მოხდა.

ქაიხოსრო: აფხაზი ალაპარაკდა რუსულად, შეითვისა რუსული კულტურა, გაითავისთავეადა და იქცა რუსული იმპერიის საიმედო დასაყრდენად ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში.

გიორგი: ყოველივე ეს ვიცოდი, მაგრამ თქვენს თხრობაში ტრაგედიის სასუნი ილებს.

ქაიხოსრო: დღეს რუსულენოვანი აფხაზი ინტელიგენტი დედასაა მოწყვეტილი, არაბრულყოფილი მოქალაქეა. მან თავის დროზე იცოდა, რომ თუ საშუალო დონეზე ცხოვრება მაინც სურდა, რუსული იმპერიალური განწყობისა და კულტურის მატარებელი უნდა გამხდარიყო. ამით კი ბუნებრივია, დაუპირისპირდებოდა ნშობლიურ ქართულენოვან სასწავლებელსა და ქართულ კულტურას. გავაგრძელო?

გიორგი: დიახ, დიახ!

ქაიხოსრო: რუსულენოვან ავტონომიას დროთა განმავლობაში, გაუჩნდა ახალ-ახალი საწარმოო-დაწესებულებები, საკურორტო პირობებმა და რუსულენოვანობამ გზა გაუხსნა ოკიანიდან ოკიანემდე გაშლილ საბჭოთა კავშირის მოქალაქის პრეტენზიების მქონე ყოველ ჯურს - ქრისტიანსა თუ მუსულმანს, ზემოურსა თუ ქვემოურს, აფხაზეთი კი, მხოლოდ რუსულ სწავლა დამთავრებულ ინტელიგენტს ითხოვდა. ყოველივე ადგილობრივის უარისმყოფელისათვის სულ ერთი იყო, ვინ ჩამოსახლდებოდა, ოღონდ ქართულ-კავკასიური ორიენტაციისაგან შორს ნდგარიყო. დაიკაპიწეს გარუსებულმა აფხაზებმა, მიწებიც გაანიავეს და გვარებიც გადააკეთეს. ფაქტების ჩამოთვლით არ შეგაწუხებთ.

გიორგი: დიახ, დიახ! მოვლენებს გავყვეთ.

ქაიხოსრო: ათას ავანტურისტს ათასი საშუალება ჩაუარდა ხელში გასამცირებლად,

არც შეურცხვათ და არც დაირცხვინეს, არც ხელთ მოხვდათ ყოველივე გაყიდეს, ს. კუ-ორორტო მიწები გადამთიელთა საჯიჯგნად აქციეს. შეიქმნა მაფია, კორუფცია; დააგროვეს ქონება, ჩასხდნენ სავარძლებში და გამალეს ნხრები; თბილისურ უწყებებსა თუ კორუფციონერებს გვერდი აუარეს და ცხის შემოკლების მიზნით პირდაპირ მოსკოველ კორუფციონერებს ეახლნენ; კურორტებზე ეზო-ყურე გაუჩინეს, ვალი გადაუხადეს, მოაჯადოვეს, მოისყიდეს.

გიორგი: აღარ მსურს სმენა ცუდ გუნებაზე ვარ!
ქაიხოსრო: ცოტა თქვენც დადექით ცუდ გუნებაზე, რა გგონიათ, ასეთი ფაქტები სხვას კარგ გუნებაზე აყენებს!?
გიორგი: მაპატიეთ, განაგრძეთ!
ქაიხოსრო: აფხაზ ფულოსნებმა თბილისის ადმინისტრაციასთან გამარჯვების შემდეგ ქართულ მეცნიერებასა და კულტურას შეუტიეს; გადაიბირეს, დაქირავეს მწერლები, მეცნიერები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები, რაღაც თავბრუდამხვევი კორიანტელი დააყენეს, რაღაც ფრაზებს იძახიან. ვთქვათ ასეთს: "მთელი საქართველო აფხაზეთიაო!" "ქართველი მეფეები აფხაზები არიანო!" და სხ. და სხ.
გიორგი: თუ ამ საკითხებში გამარკვევთ — მალიან დამავალებ.
ქაიხოსრო: ხანდისხან გამინათდება ხოლმე გონება, ჩვენ დაგვცინიან, საკუთარ თავს, თუ შექმნილ სიტუაციას ვერ ვერკვევი, ერთი კი ცხადია, სასოწარკვეთილები კივიან.
გიორგი: მოძღვრების გვარად დამიზუსტეთ.
ქაიხოსრო: თავიანთ საქციელით გვეუბნებიან: "როგორც ჩვენ, რუსულენოვანნი ვართ გაუბედურებულნი და გაკრუპენტელებულნი, თქვენც მშობლიურ ენოკანნიც ისევე ბრმანდებითო, ან ხვალ გახდებით. ჩვენც კომუნისტები ვართ და თქვენცო, ორივე ცენტრის ღუდუკზე ვცეკვავთო. თუ მე საქმოსანი, ან მაფიის წევრი ვარ, არც თქვენ ხართ ანგელოზებიო. მოპარული ფული რაღა შენი მეშველობით ჩავაბარო პატრონს, აქედან უფრო ახლ საათ. ორი ბატონის მსახურს ერთი სჯობიაო. თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო" და სხ. და სხ. საკმარისია ცენტრმა ისურვოს, რომ შენს ქართულ წიგნებს, რუსულად გადათარგმნიებენ და ისე შეასწავლიან შენს ჩამომავალსაო!"
გიორგი: ამას ფიქრობს და აკეთებს კლასიკური კავკასიური ტრადიციის მქონე აფხაზი ინტელიგენტი?
ქაიხოსრო: როგორ გგონია ვის ეუბნება, ამას? კლასიკური ტრადიციისა და კულტურის მატარებელ საქართველოსა თუ მისსავე წნგავს მაფიას, საქმოსანს, ბიუროკრატს?
გიორგი: რა გზით, როგორ აღდგება ტრადიციული კულტურა ან-აქ, ან-იქ?
ქაიხოსრო: ბოლშევიკებმა ადგილობრივი კულტურები, ტუზემცურ კულტურად და საქმოსნების საზოგადოებებად გადააქციეს.
გიორგი: პასუხი მჭირდება, ცოდოა ხალხი!
ქაიხოსრო: ნორმალურ პასუხს, ნორმალურ ფაქტებზე იძლევიან.

— • • —

## ტ რ ა დ ი ც ი ა  დ ა  ა ფ ხ ა ზ ე თ ი
/მიმართვა/

აფხაზი ხალხი კავკასიურ წარმოშობის ეთნიკური ჯგუფისაგან შედგება, წამყვანი ქართველური /აფსხური/ ნაწილია, შემდგომ აფსუაა. ორივე ხალხი მკაცრად იცავს კავკასიურ ტრადიციულ ეთიკას, რომელიც ადგილობრივ მითიურ ძირებზეა აღმოცენებული. ადრეულ საუკუნეებიდანვე გარკვეული ადგილი ეჭირა შემოსულ რელიგიებსაც, მაგრამ აფხაზი ხალხი ყოველივეს აკეთებდა, რათა ადგილობრივი ტრადიციული ეთიკა შეენარჩუნებინა.

გვიანი შუა საუკუნოები ავადმყოფურად მოქმედობს მკაცრად ჩამოყალიბებულ აფხაზურ ყოფაზე. შემოიჭრა თურქეთის იმპერია თავისი მოსახლეობითა და რელიგიით. ძალით ამუსულმანებენ ადგილობრივ მოსახლეობას, ცდილობენ გათურქებასა და ეთნოსის აღრევას. ბოლო ათწლეულებში თურქი მოსახლე გვხვდება აფხაზურ ეთნოსშიც. დღევანდელ დაძაბულ სიტუაციას თურქული წარმოშობის აფხაზიც წარმართავს. ბუნებრივია, თურქ "აფხაზს" კავკასიური ტრადიცია და ეთნო-ფსიქიკა არ გააჩნია, ამიტომაც ადვილად წიჰყვება სხვათა ორიენტაციას. თურქი "აფხაზისათვის" კავკასიური ძირძველი ტრადიციული ეთიკა ინტელექტუალური საშუალებითაა აღქმული და გაგებული. ამიტომ ჩვენი ტრადიციული ეთიკა სისხლხორცეული არ შეიძლება იყოს თურქისათვის, პირველადი თურქული, მუსულმანური ეთიკაა. ამის გაუთვალისწინებლობა, კავკასიური წარმოშობის ხალხების ურთიერთობის საფუძვლებს აამღვრევს. ამიტომ საჭიროა აფხაზეთში მაცხოვრებელ თურქს პასპორტითაც მიენიშნებოდეს მისი წარმომავლობა.

მოვუწოდებთ კავკასიური წარმომავლობის აფხაზებს, მკაცრად დაიცვან კავკასიური ტრადიცია, ხელი შეუწყონ მის საზოგადოებაში გატანას, შეეცადნენ არ დაუქვემდებარონ შემოსულ სარწმუნოებრივ მიმდინარეობებს. კავკასიური ტრადიცია, არც ერთ მათგანზე მეტი თუ არა, ნაკლები არ არის. გვახსოვდეს, რწმენა ფსიქოლოგიური მოვლენაა, ხოლო კავკასიური ტრადიციული ეთიკა ათასწლოვანი პროცესების შედეგი. კავკასიური ტრადიციული ფენომენი საფუძველზე უნდა გაერთიანდეს კავკასიური წარმოშობის ეთნიკური ჯგუფები, რომ ბოლოს და ბოლოს, შევქმნათ ერთიანი კავკასიური, გარეშე ძალებისაგან დამოუკიდებელი თავისუფალი სამშობლო.

— — — X X — — —

## რ ე პ ლ ი კ ა
/ერთი თურქულენოვანი ბუკლეტის გამო/

„ჩვენს ხელთაა თურქეთში არსებული — "ჩრდილო კავკასიის კულტურისა და ახმარეების საზოგადოების" მიერ გამოქვეყნებული ბუკლეტი, რეზედაც გამოსახულია კავკასიელი აბრაგი, რომელიც ფრთხილად გასცქერის მტრის მოძრაობას. სურათს ახლავს წარწერა, მოგვყავს წარწერის პრწკალედი:

"აბრაგი ის კაცია, რომელიც ალთქმის ქვეშ, სიცოცხლის ფასად ეწაახურება ერთ მიზანს; ებრძვის დანაშაულს, რომელსაც ადამიანური დანიშნულებისა და გრძნობებისა უგულვებელყოფით, მთელი ცივილიზებული სამყაროს თვალწინ და მონაწილეობით ასიათობით მილიონიანი დევი სჩადიოდა. აღნიშნული აღთქმა მიცემულია ბარბაროსულად გადათელილ სამშობლოსა და შეურაცხყოფილი ხალხის დასაცავად. აბრაგებმა საკუთარი პრეტენზიებში და სურვილები მოაცილეს ბევის საზოგადოებას.

რუს სელისუფალთ აბრაგები კანონგარეშე გამოაცხადეს, მ თი ც ავები კი შეაფასეს, მაგრამ არცერთი აბრაგი მტერს ცოცხალი არ ჩაბარებია."

მინაწერი სურათის შინაარსსაც ეყრდნობა, ამდენად სწორ ანალიზს აკეთებს, მაგრამ აბრაგობის არსი, ზემოთ ნათქვამით არ ამოიწურება. აბრაგობის ინსტიტუტი ზოგად საკაცობრიო შინაარსის მატარებელია და მაღალი სოციალურ-ეთიკური დატვირთვა აქვს. ამიტომ იძულებული ვართ ნაწილობრივ მაინც შევეხოთ.

როცა აბრაგზე ვმსჯელობთ, აუცილებელია კავკასიური ბუნების სახელმწიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ყოფა ზედმიწევნით ვიცოდეთ, რადგან კავკასიელ ხალხს, ანუ სრულიად კავკასიელ ერს, საკუთარი წარმოშობის სახელმწიფოებრივი თვისებები და ცხოვრების კანონები, კვლავ მაღალ, მოქმედ დონეზე აქვს შენახული. ამიტომაა, რომ მისი აღიარებისათვის ცნობიერად თუ არა ცნობიერად იღწვის.

ახლა კი აბრაგს შევეხოთ, საჭიროა ვაღიაროთ და გავითვალისწინოთ, რომ აბრაგი დარღვეულ, თუ გნებავთ ბიუროკრატიულ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სინამდვილესთან ყოველ ეპოქაში დაპირისპირებული პიროვნებაა. საკუთარი თავის კონტროლითა და თემის ხატში ფიცლებით, იკრებს ძალებსა და იკაჟებს ნებისყოფას, რათა უკან საზოგადოებაში დაბრუნების დროს, შესძლოს თავის ირგვლივ სამართლიანობის წარმოჩენა და დამკვიდრება.

ამრიგად აბრაგი ის კაცია, რომელიც არა თუ ხელისუფალთ, ღმერთსა და ბედისწერასაც არ უხრის ქედს; მით უფრო არ ემორჩილება შემოტანილ სოციალურ უსამართლობასა და სახელმწიფოებრივ ექსპანსიას. იგი ყველგან და ყოველთვის გაბატონებულ ეთიკებზე ამაღლებულ სამართალს ემიებს.

სამწუხაროა, როცა რომელიმე ხალხის კულტურის შემსწავლელი საზოგადოება, ან პიროვნება, თავისთვის ნაცნობ და მისაღებ სურვილ-განწყობას ემყარება და იქით წარმართავს ძიებას.

კავკასიელ ხალხს ამ ეტაპზე დახმარება სჭირდება, მაგრამ აღარ სურს მოატყუოს, რომელიც გნებავთ ციდმა სახელმწიფო გაერთიანებამ, რელიგიური თუ სოციალურ წყობილებათა ერთიანობის პრეტენზიის მიზეზით. კავკასიელთა ადგილობრივი წარმოშობის ეთიკა, ყოველ მორწმუნესა თუ რწმენას, თავის გვერდში არსებობის უფლებას აძლევს. ნაცრამ გარეთ გაწვდილი, ან გარედან ცათზე დასაყრდენად გამოშვერილი ხელი, მათთვის რომ მავნებელია მწარე ისტორიულმა სინამდვილემ დაუმტკიცათ. ამ საკითხზე ნაზის გუბა აუცილებელია, რადგან ფართო საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ნახჩევანელი თუ რანელ-აფხაზი პანთურქისტები, მუსულმანური ეგიდით, წყავს საზოგალღებასა თუ ფინანსიებზე დაყრდნობით, მთელი კავკასიის გათავისებას ლამობენ.

კავკასიელ ე რ ს აქვს მკაცრად გამოკვეთილი, ყოველ რელიგიაზე მაღლა მდგომი, სრულყოფილი საყოფიერო-კოსმოგონიური თვალსაწიერი, რომლის გაუთვალისწინებლობის უფლებას არავის მისცემს. ამის მაგალითი, თუნდაც, აბრაგის ინსტიტუტის არსებობაა.

ელ-ი

— • • • —

გიორგი: გაიგეთ? ცენტრში უთქვამთ: "პატარა იმპერიააო."
ქაიხოსრო: მათ რომ ვიცნობ, დაღესტანზე იტყოდნენ.

— • —

## ბ ა ლ ა დ ა
### დაქირავებულ მკვლევებისაგან დახოცილ სოხუმელ აფხაზებზე

ბრძნეული მხარის ნავთ საყუდელში,
ნელა მიცურდა პატარა ნავი.
-არ გავთურქდიო!-იძახის ნავი.
-არ გავრუსდიო!-დასტვენს თოლია.

ბრძნეული ნავი ზღვამ გამორიყა;
ზღვის პირზე მოკვდა პატრა თოლია.

და ასე მუდამ და ასე მუდამ;
ნავი და ჩიტი ზღვის ფიქრად რჩება.
პატარა ნავსა ზღვა გამორიყავს,
პატარა ჩიტიც ზღვის პირზე კვდება.

გავიდა ჟამი და ეპოქები,
ჩვენ რომ გვაცილებს ათასი წლებით.
-ხომ არ გაბერძნდი?-დასტვენდა ჩიტი.
-არ გასპარსელდი?-ეძახდა ნავი.

პატარა ნავი ზღვამ გამორიყა,
ბრძნეულ ზღვის პირზე მოკვდა თოლია.

კვლავ ღვთისნიერი ცა-ტალღა ჩნდება,
ფრთას გადაუშლის ტალღას თოლია.
-არ გარუსდეო!-უძახის ნავი.
-არ გათურქდეო!-დასტვენს თოლია.

როცა მრუშე ზღვა გადაშავდება, ერს
ბრძნეულ ნავს და ჩიტს ზღვა არ იკავს
-არ გავრუსდები!-ჩიუტოვს ნავი,
-არ გავთურქდები!-დასტვენს თოლია.

მაღალ ცის ფაღლი, მაღალ ცის მადლი.
ცა-ტალღა ჩნდება ნიავიც გერავს,
-არ გავთურქდიო!-უძახის ნავი.
-არ გავრუსდიო!-დასტვენს თოლია.

და ასე მუდამ და ასე მუდამ.
ნავი და ჩიტი ზღვის ფიქრად რჩება.
პატარა ნავსა ზღვა გამორიყავს.
პატარა ჩიტი ზღვის პირზე კვდება.

— • • — [illegible]

ხელმძღვანელი: [illegible]
[illegible]
[illegible] ა-ი